საქართველოს მთავრობის

დადგენილება №405

2016 წლის 18 აგვისტო

ქ. თბილისი

დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 3^2 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „$ვ^6$“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. ეს წესი განსაზღვრავს დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებაზე უფლებამოსილ ორგანოებს, დამოწმებას დაქვემდებარებულ დოკუმენტებს, დამოწმების წესსა და პროცედურას.

2. ამ წესის შესაბამისად, აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტი ექვემდებარება იმ სახელმწიფოებში გამოყენებას, რომლებიც მიერთებული არიან „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციას.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №604 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.

მუხლი 2. აპოსტილით დამოწმებისას დასტურდება საქართველოს ტერიტორიაზე შედგენილ დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობა, ხელმომწერი პირის უფლებამოსილება, დოკუმენტის ბეჭდით ან შტამპით დამოწმების შემთხვევაში – მათი ავთენტურობა; ელექტრონული დოკუმენტის შემთხვევაში – კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის სერტიფიკატის საფუძველზე შესრულებული ხელმოწერის/შტამპის ნამდვილობა და კვალიფიციური ელექტრონული ხელმომწერის/შტამპის დამტანის უფლებამოსილება.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №604 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.

თავი II

აპოსტილით დასამოწმებელი დოკუმენტები და დამოწმებაზე უფლებამოსილი ორგანოები

მუხლი 3

1. ამ წესის შესაბამისად, აპოსტილით მოწმდება შემდეგი დოკუმენტები:

ა) სამედიცინო დაწესებულებების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტები;

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტები, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის არმქონე იურიდიული პირის მიერ „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით გაცემული პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი;

გ) სასამართლო ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები;

დ) სანოტარო აქტები;

ე) საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები;

ვ) ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ასლის დედანთან იგივეობის დამადასტურებელი დამოწმების ფურცელი;

ზ) აპოსტილით დამოწმებას დაქვემდებარებული დოკუმენტის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული თარგმანი.

2. აპოსტილით დამოწმებას ექვემდებარება როგორც დოკუმენტის დედანი, ისე ელექტრონული დოკუმენტის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული მატერიალური ამონაბეჭდი ან მატერიალური დოკუმენტის ელექტრონული ან სათანადო წესით დამოწმებული მატერიალური ასლი.

3. დოკუმენტის ასლის აპოსტილით დამოწმება გულისხმობს დოკუმენტის დამოწმების ფურცელზე ან დოკუმენტზე არსებული ხელმოწერის/ბეჭდის/შტამპის ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად დამოწმებას.

4. დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლის აპოსტილით დამოწმება გულისხმობს დოკუმენტზე არსებული ხელმოწერის/ბეჭდის/შტამპის ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად დამოწმებას.

5. ელექტრონული დოკუმენტი აპოსტილით დამოწმებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოდგენილია ISO 32000 სტანდარტის შესაბამისი ფორმით. ელექტრონული დოკუმენტის წარმოდგენისას შესაძლებელია, მოთხოვნილ იქნეს დროის კვალიფიციური აღნიშვნის დატანა და სერტიფიკატების ავტომატური შემოწმების დასტურის არსებობა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №604 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 აპრილის დადგენილება №158 - ვებგვერდი, 01.05.2024წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 ივნისის დადგენილება №200 - ვებგვერდი, 25.06.2024წ.

მუხლი 4. აპოსტილით დამოწმებას არ ექვემდებარება:

ა) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები;

ბ) კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ (გარდა სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის არმქონე იურიდიული პირებისა, რომლებიც „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით გასცემენ პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატსა და სერტიფიკატის დანართს, აღნიშნული დოკუმენტების ნაწილში) გაცემული დოკუმენტები;

გ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟო და კომერციულ ოპერაციებთან;

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მისი ასლი, გარდა გამცემი ორგანოს მიერ დამოწმებული საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლისა;

ე) სამხედრო ბილეთი;

ვ) სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტი (ტექნიკური პასპორტი) და მართვის მოწმობა;

ზ) ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემული ქვითრები;

თ) სანოტარო აქტები – ასლის დედანთან სისწორისა და ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორის ნამდვილობის დამოწმება;

ი) ნორმატიული აქტები.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 ივნისის დადგენილება №200 - ვებგვერდი, 25.06.2024წ.

მუხლი 5

1. საქართველოში დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებაზე უფლებამოსილი ორგანოები არიან:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) – აპოსტილით დამოწმებას დაქვემდებარებულ ყველა დოკუმენტზე, რომელთა დამოწმებაც არ განეკუთვნება სხვა ორგანოს კომპეტენციას;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (შემდგომში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო) – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ დამზადებულ/გაცემულ დოკუმენტებზე.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული თარგმანის აპოსტილით დამოწმებას ახორციელებს ამ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებაზე უფლებამოსილი ორგანო (შემდგომში – უფლებამოსილი ორგანო).

თავი III

დოკუმენტების აპოსტილით დამოწმების წესი

მუხლი 6

1. აპოსტილით დამოწმება ხორციელდება ნებისმიერი პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც მიმართავს აპოსტილით დამოწმებაზე უფლებამოსილ შესაბამის ორგანოს (შემდგომში – დაინტერესებული პირი).

2. მატერიალური დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება ხორციელდება დამცავი საშუალებებით აღჭურვილი თვითწებადი ქაღალდის დოკუმენტზე დაკვრით, ხოლო ელექტრონული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება ხორციელდება ISO 32000 სტანდარტის შესაბამისი ფორმით დაგენერირებულ დოკუმენტზე – ელექტრონულ აპოსტილზე, განმცხადებლის მიერ წარდგენილი ელექტრონული დოკუმენტის დართვით.

3. აპოსტილის ტექსტი უნდა იყოს მკაფიოდ და გარკვევით შესრულებული ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №604 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.

მუხლი 7

1. პირი უფლებამოსილია, განცხადება დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების შესახებ წარადგინოს ელექტრონული ფორმით, ამ მუხლით დადგენილი წესით.

2. მატერიალური დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების შესახებ ელექტრონული ფორმით მიმართვა, განმცხადებლის ხელმოწერის გარეშე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში შესაძლებელია, წარადგინოს საზღვარგარეთ მყოფმა პირმა იმ შემთხვევაში, თუ მატერიალური დოკუმენტი გაცემულია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ და ელექტრონული კომუნიკაცია იძლევა განმცხადებლისა და განცხადების მიღებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის საშუალებას და განმცხადებლის იდენტიფიცირება და პირადობის დადასტურება შესაძლებელია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის გამოყენებით.

2^1. ელექტრონული დოკუმენტის ელექტრონული აპოსტილით დამოწმების შესახებ განცხადება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში შესაძლებელია, წარადგინოს პირმა იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონულ დოკუმენტთან ერთად წარდგენილი იქნება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ ელექტრონული კომუნიკაცია იძლევა განმცხადებლისა და განცხადების მიღებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის საშუალებას და განმცხადებლის იდენტიფიცირება და პირადობის დადასტურება შესაძლებელია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის გამოყენებით, ან თუ განცხადება წარდგენილია შესაბამის ვებგვერდზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ დამზადებული/გაცემული დოკუმენტის ელექტრონული აპოსტილით დამოწმების წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.

2^2. მოთხოვნა ელექტრონული დოკუმენტის ელექტრონული აპოსტილით დამოწმების თაობაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ განიხილება არაუმეტეს ერთი სამუშაო დღის ვადაში. თუ წარდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს ამ დადგენილებით გათვალისწინებულ დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებისათვის საჭირო ფორმალურ საფუძვლებს, აღნიშნულის თაობაზე განმცხადებლის მიერ არჩეული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ეცნობება განმცხადებელს. შეტყობინებაში აღინიშნება მომსახურების საფასურის გადახდის წესი, ვადა და ოდენობა. საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რის თაობაზეც ეცნობება განმცხადებელს, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს ვიზუალური კონტაქტის ამსახველი ჩანაწერის ელექტრონული ფორმით შენახვას.

4. ამ მუხლით დადგენილი წესით წარდგენილი განცხადების საფუძველზე, დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებისათვის დაწესებული საფასურის/ბაჟის გადახდა დასტურდება საქართველოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ქვითრით.

5. ქვითრის წარდგენა საჭირო არ არის, თუ მომსახურების საფასურის/ბაჟის გადახდა განხორციელდა უნაღდო ანგარიშსწორებით და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს აქვს შესაძლებლობა, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით შეამოწმოს ანგარიშსწორების განხორციელების ფაქტი.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ქვითრის წარუდგენლობის შემთხვევაში, მის წარსადგენად განმცხადებელს განესაზღვრება დამატებითი ვადა არა უმეტეს ერთი თვისა, რის თაობაზეც ეცნობება ელექტრონული ფოსტის საშუალებით, განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე, რომლის მითითებაც სავალდებულოა. ქვითრის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ქვითრის წარუდგენლობის შემთხვევაში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

8. განმცხადებლის მოთხოვნით, აპოსტილით დამოწმებული მატერიალური დოკუმენტი შეიძლება, გაიცეს განცხადებაში მითითებულ პირზე ან გაეგზავნოს განმცხადებელს ფოსტით. საფოსტო ხარჯებს

ანაზღაურებს განმცხადებელი. ელექტრონული აპოსტილით დოკუმენტის დამოწმების შემთხვევაში, ელექტრონული აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტი აიტვირთება უფლებამოსილი ორგანოს ვებგვერდზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტი ჩაბარებულად მიიჩნევა უფლებამოსილი ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №604 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.

მუხლი 8. ამ წესით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხრიდან დაინტერესებულ პირთან კომუნიკაცია ხორციელდება შესაბამისი შეტყობინების/გადაწყვეტილების სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნების, განაცხადში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის ან/და წერილობითი შეტყობინების ოფიციალური გაცნობის (გადაცემის ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნის) გზით. განმცხადებელთან კომუნიკაცია დამატებით შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (განაცხადში ელექტრონული ფოსტის მითითების შემთხვევაში. თუ განცხადება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების შესახებ წარდგენილია ელექტრონული ფორმით, ელექტრონული ფოსტის მითითება სავალდებულოა).

მუხლი 9

1. უფლებამოსილი ორგანოები ამოწმებენ, ექვემდებარება თუ არა დოკუმენტი აპოსტილით დამოწმებას.

2. თუ დოკუმენტი ექვემდებარება აპოსტილით დამოწმებას, შესაბამისი ორგანოები ადგენენ დოკუმენტზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობას, ხელმომწერის უფლებამოსილებას, დოკუმენტის ბეჭდით ან შტამის დამოწმების შემთხვევაში – მის ავთენტურობას, ხოლო ელექტრონული დოკუმენტის შემთხვევაში – კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის სერტიფიკატის საფუძველზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შესრულების ფაქტს და ელექტრონულ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერის/შტამპის ნამდვილობას.

3. უფლებამოსილი ორგანოები ვალდებულნი არიან, დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება განახორციელონ განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №604 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.

მუხლი 10

1. დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებაზე უარი შეიძლება ითქვას, თუ:

ა) დოკუმენტზე ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია (ძნელად გასარკვევია);

ბ) დოკუმენტები ხელმოწერილია ფანქრით;

გ) დოკუმენტის ასლები დაუმოწმებელია;

დ) დოკუმენტებში დაფიქსირებულია დაუმოწმებელი შესწორებები ან შეინიშნება გაყალბების ნიშნები;

ე) ვერ ხერხდება საჭირო ხელმოწერის, ბეჭდის ან შტამპის ნიმუშის მოძიება ან ვერ დგინდება დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობა, ხელმომწერი პირის უფლებამოსილება ან/და ბეჭდის ან შტამპის ავთენტურობა;

ვ) დოკუმენტზე შეინიშნება მასთან კავშირის არმქონე მინაწერი, ბეჭედი ან შტამპი;

ზ) აშკარაა, რომ დოკუმენტი ფორმით ან შინაარსით არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ;

თ) ელექტრონულ დოკუმენტზე დასმული ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის სერტიფიკატი არ არის გაცემული კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ;

ი) ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის დასმის პერიოდში ვერ დგინდება ელექტრონულ დოკუმენტზე დასმული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის სერტიფიკატის სტატუსი, ან ხელმოწერა/შტამპი დასმულია ვადაგასული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის სერტიფიკატით;

კ) ელექტრონული დოკუმენტი არ არის წარდგენილი ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ფორმით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, შესაძლებელია შეჩერდეს დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებისათვის გათვალისწინებული ვადა, არა უმეტეს 2 თვის ვადით.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №604 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.

მუხლი 11

1. დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებისათვის წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) დოკუმენტი, რომელზეც უნდა დაისვას აპოსტილი;

ბ) დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებაზე უფლებამოსილი ორგანოების მიხედვით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

2. გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის/ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა საჭირო არ არის, თუ მომსახურების საფასურის/ბაჟის გადახდა განხორციელდა უნაღდო ანგარიშსწორებით და უფლებამოსილ ორგანოს აქვს შესაძლებლობა, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით შეამოწმოს ანგარიშსწორების განხორციელების ფაქტი.

მუხლი 12

1. უფლებამოსილი ორგანოს პასუხისმგებელი პირი დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებისათვის საჭირო მონაცემების შედარებისა და შესწავლისათვის იყენებს სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების, აგრეთვე სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებისათვის/ლეგალიზაციისათვის საჭირო მონაცემთა ბაზაში (შემდგომში – მონაცემთა ბაზა) არსებული ბეჭდების, შტამპებისა და ხელმოწერების ნიმუშებს, ასევე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის სერტიფიკატის თაობაზე დაცულ ინფორმაციას.

2. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა ბაზაში არ ინახება შესაბამისი ინფორმაცია, აპოსტილი შეიძლება, დასმულ იქნეს დოკუმენტზე მხოლოდ სათანადო ნიმუშებისა და ინფორმაციის მოძიების შემდეგ.

3. თუ აპოსტილით დასამოწმებლად წარდგენილ მატერიალურ დოკუმენტზე არსებული ხელმოწერა არ შეესაბამება მონაცემთა ბაზაში არსებული შესაბამისი ხელმოწერის ნიმუშს, აპოსტილით დამოწმება შეიძლება, განხორციელდეს მატერიალური დოკუმენტის გამცემი ორგანოდან/დაწესებულებიდან შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვის შემდგომ ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში.

4. თუ შესაბამისი დაწესებულებიდან ვერ ხერხდება აპოსტილით დასამოწმებლად წარდგენილ მატერიალურ დოკუმენტზე არსებული ხელმოწერის, ბეჭდის ან შტამპის ნიმუშის ან/და ხელმომწერი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მატერიალური დოკუმენტის აპოსტილით დამმოწმებელი ორგანო უფლებამოსილია, შესაბამისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში,

დაადგინოს აპოსტილით დასამოწმებელ მატერიალურ დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობა, ხელმომწერი პირის უფლებამოსილება, ბეჭდის ან შტამპის ავთენტურობა და განახორციელოს მატერიალური დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება, რის შესახებაც გამოაქვს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №604 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.

მუხლი 13. დაუშვებელია აპოსტილის ტექსტში ცვლილების შეტანა.

მუხლი 14

1. აპოსტილით დამოწმების ფაქტი რეგისტრირდება ელექტრონულ რეესტრში, სადაც აღინიშნება:

ა) განმცხადებლის ვინაობა;

ბ) აპოსტილის უნიკალური ნომერი;

გ) აპოსტილის შემსრულებელი ორგანოს დასახელება;

დ) აპოსტილის დასმის თარიღი;

ე) აპოსტილით დამოწმებას დაქვემდებარებულ დოკუმენტზე ხელმომწერი პირის ვინაობა და თანამდებობა.

2. (ამოღებულია - 29.09.2020, №604).

3. ელექტრონულ რეესტრს უნდა ჰქონდეს სათანადო პროგრამული მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს მის გამართულ წარმოებას, მონაცემთა ავთენტურობას, უსაფრთხოებასა და დაცვას არასანქცირებული წვდომისგან.

4. დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში, აპოსტილის შემსრულებელი პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, გადაამოწმოს, შეესაბამება თუ არა აპოსტილში აღნიშნული მონაცემები ელექტრონულ რეესტრში არსებულ მონაცემებს.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №604 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.

მუხლი 15. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №604 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.

თავი IV

აპოსტილის ფორმა და მისი დასმის წესი

მუხლი 16

1. მატერიალურ დოკუმენტზე დასმული აპოსტილი არის თვითწებადი ქაღალდი, რომელზეც დატანილია 10X10 ზომის შტამპი შესაბამისი ტექსტით. თვითწებადი ქაღალდი დაფარულია ოთხი სხვადასხვა ტიპის ექსკლუზიური, გილიოშური დამცავი ბადით, რომლის ხაზების ნაწილი მიკროტექსტია. დამცავი ბადე შესრულებულია ასლის გადაღების საწინააღმდეგო და მანათობელი საღებავით. წარწერები „საქართველო“ და „Georgia“ შესრულებულია უხილავი საღებავით (დანართი №1).

2. ელექტრონულ დოკუმენტზე ელექტრონული აპოსტილი არის ISO 32000 სტანდარტის შესაბამისი ფორმით გენერირებული დოკუმენტი (დანართი №1).

3. დოკუმენტების აპოსტილის ქვეშ შესაძლოა, მიეთითოს საჯარო დაწესებულების ელექტრონული გვერდის მისამართი, სადაც განთავსებულია აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტების შესახებ

მონაცემთა ბაზა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების გარდა, ელექტრონული აპოსტილის შემთხვევაში, დოკუმენტის აპოსტილის ქვეშ შესაძლებელია, მიეთითოს სწრაფი გამოხმაურების შტრიხკოდი/QR code შესაბამისი ტექსტით.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №604 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.

მუხლი 17

1. მატერიალურ დოკუმენტზე აპოსტილი დაისმება დოკუმენტზე არსებულ თავისუფალ ადგილზე ან მის მეორე გვერდზე ან მასზე დამაგრებულ ჩანართზე.

2. ჩანართი მიკერებული უნდა იქნეს მატერიალურ დოკუმენტზე ლენტით, რომელთა განცალკევება დაზიანების გარეშე შეუძლებელი იქნება. აღნიშნული წესი გამოიყენება მაშინაც, თუ მატერიალურ დოკუმენტს მყარი გარეკანი აქვს.

3. უფლებამოსილ ორგანოებს უფლება აქვთ, ჩანართისათვის გამოიყენონ სპეციალური ქაღალდი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №604 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.

თავი V

პასუხისმგებლობა დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესის დარღვევისთვის

მუხლი 18

1. აპოსტილის შემსრულებელი პასუხისმგებელია აპოსტილის არასწორად შესრულების ან ამ წესის რაიმე ფორმით დარღვევისათვის, კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ წესის მოთხოვნათა დარღვევით აპოსტილით დამოწმებულ დოკუმენტს არ გააჩნია იურიდიული ძალა.

3. იმ სახელმწიფოებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არიან მიერთებული „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციას, ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ლეგალიზაციის წესები.

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №604 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.

APOSTILLE

(Convention de La Haye du 5 octobre 1961)

1. ქვეყანა /Country: საქართველო /Georgia

მოცემული ოფიციალური დოკუმენტი /This public document

2. ხელმოწერილია /has been signed by:---------- --------- ----------

----------/---------- --- ----------

3. რომლის თანამდებობაც არის / acting in the capacity of: ---------- ---------- -----

----------/---------- -- ----------

---------- -- ----------

4. დამტკიცებულია / bears the seal/stamp of ---------- ---------- ----------

----------/---------- ---- ----------

---------- ---- ----------

ბეჭდით / შტამპით

დამოწმებული /Certified

5. ადგილი / at: 6. თარიღი / the ----------

7. დამოწმებულია /by:

8. № ----------

9. ბეჭდის / შტამპის ადგილი /Seal/stamp

10. ხელმოწერა/ signature